

07.03.2019

თავმჯდომარე. მადლობა. ქალბატონი თინათინ ბოკუჩავა.

თ.ბოკუჩავა. გმადლობთ. უამრავი კითხვა მაქვს, მათ შორის, ბატონო ლევან, რატომ არ მოხდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების წარმოდგენა ამ დრომდე, ასევე, რატომ არ ხდება ამ დრომდე აზბესტის წლიური მოხმარების და იმპორტის მოცულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. იცით, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 107 ათას ადამიანზე მეტი იღუპება აზბესტის ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებებით, ასევე, რატომ ეძახით თქვენ სპეკულაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ტყვიის შემცველობა საქართველოში არის გაზრდილი, თქვენ კვლევა წარმოადგინეთ, მაგრამ მე ასევე მინდა წარმოგიდგინოთ კვლევა სადაც 200 ადამიანიდან 75%-ზე მეტს სისხლში აღმოაჩნდა ტყვიის მაღალი შემცველობა და აქედან უმრავლესობა იყო ბავშვი, ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევიდანაც ჩანს, რომ მომატებულია ტყვიის შემცველობა და რატომ აფასებთ თქვენ ამ მონაცემებს მხოლოდ და მხოლოდ როგორც სპეკულაციას. და ბოლოს, ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა საწვავის ზრდა და ისეთი ღონისძიებების გატარება როგორც არის საწვავის ეკომარკირება. ალბათ, დამეთანხმებით, ამის მიღწევა შეუძლებელია თუ სტიმულირებას არ მოვახდენთ კონკურენციის ნავთობპროდუქციის ბაზარში. ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ ლუკოილის დირექტორი ზაზა ქათამაძე სცემა ოთარ ფარცხალაძემ, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, რომელიც გასამართლებულია ბოტასების ქურდობის ბრალდებით და გააგდო ეს ადამიანი დაკავებული თანამდებობიდან, შემდგომ ფარცხალაძემ დაიკავა ლუკოილის დირექტორის მოადგილის პოზიცია და ეს ძალადობრივი დაპირისპირება იყო შედეგი კორუფციულ სქემებთან დაკავშირებული სკანდალის, რომელიც უკავშირდება ბათუმის ნავთობტერმინალიდან ნავთობის დიდი ოდენობით უკანონოდ გაყიდვას. გაქვთ თუ არა თქვენ ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ, დაინტერესდებით თუ არა ამ ინფორმაციით და თვლით თუ არა, რომ ასეთი ქმედებ ...

თავმჯდომარე. დაასრულებინეთ.



**თ.ბოკუჩავა.** და დადასტურების შემთხვევაში თვლით თუ არა, რომ ნავთობიმპორტიორ კომპანიებზე ხორციელდება ზეწოლა ივანიშვილთან დაახლოებული პირების მხრიდან და რომ ჯანსაღი კონკურენციის შექმნა შესაბამისად, მათ შორის ეკომარკირება და ნებისმიერი სხვა ტიპის ღონისძიებების გატარება შეუძლებელია მაშინ, როდესაც არის მცდელობა კარტელებად ჩამოყალიბდეს ეს კომპანიები და კონკურენცია იყოს სრულიად ...

**თავმჯდომარე.** ქალბატონი თინა ბოკუჩავა.

**თ.ბოკუჩავა.** გმადლობთ, ბატონო ლევან, ტყვიასთან დაკავშირებით გკითხავთ ისევ. ანუ თქვენ თქვით, რომ თითქოს მე რაღაც დავამახინჯე, თქვენი სიტყვები მე მგონი არ არის. თქვენ აღნიშნეთ, რომ არსებობს სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით თითქოს და ტყვის შემცველობა არის უფრო მაღალი, ვიდრე ეს არის ზღვრულად დაშვებული. და მე, ანუ, არანაირი სპეკულაციასთან ან რაღაც ჭორს არ ვეყრდნობი, როდესაც ამ ინფორმაციას ვაჟღერებ. არსებობს კონკრეტული კვლევები, მათ შორის, ბოლოდროინდელი, რომელიც მედიის საშუალებებითაც გავრცელდა და შემიძლია გადმოგცეთ თქვენ და სამინისტროს წარმომადგენლებს, სადაც 200-ადამიანს ჩაუტარდა ძალიან მარტივად სისხლის ანალიზი და აქედან 75% აღმოაჩნდა ზღვარზე, უფრო მაღალი ტყვის შემცველობა სისხლში. ამაზეა საუბარი და ეს მართლაც ძალიან საგანგაშო თემაა არ ვიცი ამაზე სამომავლოდ იგივე, ვთქვათ, კომიტეტის ფარგლებში კონკრეტულად ამ თემაზე თუ შეგვიძლია ...

**თავმჯდომარე.** დაასრულებინეთ.

**თ.ბოკუჩავა.** და თქვენ როდესაც საუბრობთ კომპლექსურ მიდგომაზე, გეთანხმებით, აბსოლუტურად არა მხოლოდ თქვენი სამინისტრო, არამედ ასევე ჯანდაცვის სამინისტროც უნდა ჩაერთოს ამ თემაში და იგივე პარლამენტის მხრიდანაც არა მხოლოდ გარემოს დაცვის კომიტეტის, არამედ ასევე ჯანდაცვის კომიტეტი, მაგრამ თქვენის მხრივ კონკრეტულად რა ღონისძიებებს გეგმავთ იმისთვის, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ უკეთ იყოს შესწავლილი, რაზეც თქვენ საუბრობთ იმიტომ,



რომ მესმის, რომ კომპლექსური მიდგომა გვჭირდება ამის შესასწავლად, მაგრამ მოსაგვარებლადაც გვჭირდება კომპლექსური მიდგომა და ეს მაინტერესებს კონკრეტულად. მადლობა.

**თავმჯდომარე.** გმადლობთ. გადავდივართ ფრაქციების გამოსვლებზე, ქალბატონი თინა ბოკუჩავა ტრიბუნიდან 10 წუთი რეგლამენტი.

**თ.ბოკუჩავა.** გმადლობთ. მე ძირითადად ვისაუბრებ გარემოს დაცვის თემებზე იმიტომ, რომ პარლამენტშიც ამ თემებზე მიწევს საუბარი. პირველ რიგში მინდა თხოვნით მოგმართოთ, ბატონო თავმჯდომარე, რომ ზოგადად დავამკვიდროთ იმის პრაქტიკა პარლამენტში, რომ წინასწარ იგზავნებოდეს ის ანგარიში, რომელსაც შემდგომ წარმოადგენს მინისტრი, როგორც მინიმუმ კურატორ კომიტეტს, ასე ვთქვათ, ჰქონდეს იმის შესაძლებლობა ანგარიში განიხილოს. მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო გაადრმავებს დეპუტატების მომზადების ხარისხს და მოგვეცემს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო შინაარსობრივად ვისაუბროთ სესიის განმავლობაში. ასე, რომ ზოგადად მინისტრის საათის პროცედურის დახვეწის მიზნით, მათ შორის, იმ ადამიანების საყურადღებოდ, ვინც რეგლამენტის რეფორმაში იყო ჩართული, ვფიქრობ, ეს იქნება კარგი პრაქტიკა. რაც შეეხება უშუალოდ იმ საკითხებს, რაზეც დღეს ვისაუბრეთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროკავშირს და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ერთობლივი კვლევის თანახმად, რომელიც 53 ქვეყანაში ჩატარდა, დადასტურებულია, რომ ჰაერის დაბინძურებასა და ფილტვის კიბოს შორის პირდაპირი კორელაცია არსებობს. ასევე, არსებობს პირდაპირი კორელაცია ჰაერის დაბინძურებასა და სხვა ძალიან მძიმე დაავადებებს შორის, როგორც არის რესპირაციული დაავადებები. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით უშუალოდ ახლა უკვე, საქართველოში 2012-2016 წლებში რესპირაციული დაავადებების ზრდის დინამიკა შეიმჩნევა, რომელიც დაკავშირებულია ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესებასთან. ის, რომ ქვეყანაში არსებობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პრობლემა, ალბათ ამაზე დამეთანხმებით და ამაზე მეტყველებს ასევე, არაერთი კვლევა, მათ



შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მათი დაკვეთით ჩატარებული სადაც ადამიანები ჰაერის დაბინძურებას ჰაერის ხარისხს ასახელებენ, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ეს, სხვათა შორის, სიახლეა იმიტომ, რომ მთავარი პრობლემის ჩამონათვალის ხუთეულში, მაგალითად, არასდროს ხვდებოდა-ხოლმე გარემოს დაბინძურება და ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ძალიან საყურადღებოა. განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, ურბანულ ცენტრებში და კიდევ მწვავე დედაქალაქში, თუმცა მთელი ქვეყნის მასშტაბით ეს არის პრობლემური საკითხი და იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ზოგადად ამ პროცესის მოგვარებას. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ გარემოს დაცვის კომიტეტის ფარგლებში პირველად საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში ჩატარდა საკომიტეტო მოკვლევა და მე მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ უწყებას, რომელმაც შეძლო ამ ფორმატში მონაწილეობის მიღება ისევე, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს ამ ინიციატივისთვის და იმედი მაქვს, რომ ის რეკომენდაციები, რაც გამოიცემა აღნიშნული საკომიტეტო მოკვლევის ფარგლებში მართლაც გახდება აქტივობის საფუძველი, ასე ვთქვათ, დაედება საფუძვლად თქვენს შემდგომ აქტივობას და რომ რეალურად შესრულდება ეს რეკომენდაციები და ისინი არ დარჩება ფარატინა ქალაქის სახით. ამ კვლევის, ამ მოკვლევის ფარგლებშიც დადასტურდა კიდევ ერთხელ, რომ ჰაერის დაბინძურების 2 მთავარი წყარო არის შემდეგი, ერთი არის მტვერი და ძირითადად სამშენებლო მტვერი, თუმცა არსებობს, რა თქმა უნდა, სხვა წყაროებიც და ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან გამოყოფილი გამონაბოლქვი. სამწუხაროდ ამ პრობლემის მოგვარებაში ჩვენ ხელს გვიშლის ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად ასევე კორუფცია და რას ვგულისხმობ ამაში, მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ გამონაბოლქვზე და იმაზე, რომ ძალიან ბევრი ავტოსატრანსპორტო საშუალება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სამწუხაროდ ტექნიკური დათვალიერების საკითხი არ არის ქვეყანაში მოგვარებული. ეს ტექნიკური დათვალიერება გახდა კორუფციის წყარო, სადაც ადამიანები და მე პირადადაც მქონია ასეთ ადამიანებთან შეხება, პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ მათ უწევთ ქრთამის გადახდა ტექნიკური





დათვალიერების გავლის დროს და მეტიც, რომ ტექნიკური დათვალიერების არაერთი ცენტრი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მთავრობასთან დაახლოებულ პირებს, რომ ეს ტექნიკური ტექდათვალიერების ცენტრები არის მათ მფლობელობაში და სწორედ ამიტომ გაჩნდა კორუფციის ეს წყაროები. ვიცი, რომ არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც ეს კორუფცია, ასე ვთქვათ, გამჟღავნდა და მოუწია ხელისუფლებას ნაბიჯების გადადგმა, თუმცადა ეს პრობლემა არ აღმოფხვრილა და ვფიქრობ, რომ თქვენც უნდა დაინტერესდეთ ამ პრობლემით. სხვაგვარად ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებაზე საუბარი თქვენი მხრიდან და ამ პრობლემატიკაზე საუბარი ზოგადად მხოლოდ ლიტონი სიტყვების ტოლფასი იქნება. კიდევ ერთი დამაბინძურებელი არის საწვავი დიზელი ერთ-ერთი პრობლემაა, რომელიც საერთოდ ამოღებულია მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში გრძელდება დიზელის გამოყენება საწვავის სახით. ვფიქრობ, რომ ესეც აუცილებლად დასარეგულირებელია და ასევე პრობლემაა ბენზინის ხარისხი. ბატონო ლევან, თქვენ ისაუბრეთ იმაზე, რომ ბენზინის ხარისხის შემოწმება ხდება და ის შეესაბამება სტანდარტებს, მაგრამ სამწუხაროდ მე არ მესმის საერთოდ, როგორ შეიძლება შემოწმდეს ბენზინის ხარისხი და როგორ შეიძლება ვისაუბროთ რაიმე პროგრესულ ნაბიჯებზე, როგორც არის მაგალითად საწვავის ეკომარკირება, როდესაც ისეთ ისტორიებს ვისმენთ, როგორც მე გავაჟღერე დღეს ამ პლენარულ დარბაზში. თქვენი პასუხი ამ ისტორიასთან დაკავშირებით იყო, რომ ჩვენ უნდა მივმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს. რა სამართალდამცავი ორგანო, თქვენ აი მე მაინტერესებს, ალბათ, შეჯამების სიტყვის შესაძლებლობა რომ გექნებათ კონკრეტულად ვის გვირჩევდით, რომ მივმართოთ. ერთ-ერთ უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტის ერთ-ერთ მფლობელს ჩვენს ქვეყანაში გიორგი გახარია პირდაპირ ემუქრება, უგზავნის მუქარის წერილს და ეუბნება, რომ კონკრეტული რიტორიკა თუ არ გექნება კონკრეტული ტელეარხის სამაუწყებლო ბადე თუ არ განისაზღვრება ისე, როგორც ჩვენ გვინდა, მაშინ შენ გექნება რეპუტაციული პრობლემები, მაშინ შენ ბიზნესს შეექმნება პრობლემები. ასეთ რაღაცაზე საუბრობს ადამიანი და თქვენ დღეს მე მეუბნებით, რომ თუ გვაქვს რაიმე ექვი ბიზნესზე ზეწოლასთან



დაკავშირებით მივმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს? სამართალდამცავი ორგანოების იმედი ამ ქვეყანაში აღარავის არა აქვს. სამართალდამცავი ორგანოების იმედი ამ ქვეყანაში არც პარლამენტის წევრებს არა აქვთ, არც ბიზნესმენებს არა აქვთ, რომელზეც ზეწოლა ხორციელდება და არც ჩვეულებრივ ადამიანებს, მოქალაქეებს და მე მაინტერესებს, თქვენ რის, გაქვთ თუ არა იმის საფუძველი, რომ მაგალითად ფარცხალაძეზე რამეს გამოიძიებს პროკურატურა! ბატონო ლევან, ძალიან გთხოვთ, იქნებ ერთი წუთი მომისმინოთ, ბატონო ლევან, მე მაინტერესებს თქვენს შემაჯამებელ სიტყვაში მოვისმინო პასუხი ამასთან დაკავშირებით, თქვენ გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ თუ ფარცხალაძემ მართლაც სცემა ერთ-ერთი ნავთობიმპორტიორი კომპანიის დირექტორი და გააგდო ის ამ კომპანიიდან და შემდგომ დაიკავა დირექტორის მოადგილის ადგილი, თუ ფარცხალაძემ და მე ამას არ ვამტკიცებ, ბევრი სხვა ადამიანისგან განსხვავებით, რომლებიც როცა ოპოზიციაში იყვნენ მტკიცებით ფორმაში საუბრობდნენ-ხოლმე მოგონილ დანაშაულზე. მე ამას არ ვამტკიცებ. მე უბრალოდ ვსვამ კითხვას, მათ შორის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფარცხალაძემ სცემა ადამიანი, შემდგომ დაიკავა ამ კომპანიაში დირექტორის მოადგილის თანამდებობა და მე მაინტერესებს თქვენი აზრი. მესმის, რომ შეიძლება ეს უშუალოდ გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობას არ ეხება, თუმცა ეხება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: იმისთვის, რომ იყოს მაღალი ხარისხის საწვავი და შემდგომ დაბალი ხარისხის საწვავმა არ გამოიწვიოს მთელი რიგი ის დაავადებები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, ამისთვის საჭიროა ჯანსაღი კონკურენცია, მათ შორის ამ სფეროში და რა ჯანსაღ კონკურენციაზე შეიძლება იყოს საუბარი თუ ადამიანები ფიზიკური ძალადობით ალაგებენ ურთიერთობებს. ასე, რომ ბატონო ლევან, ჩემი აზრით, ცოტა უფრო გულწრფელი უნდა იყოთ, როდესაც ამ თემაზე საუბრობთ და შეშფოთდით, „ბატონი ბიძინას ხსენებთ“, თქვენ გციტირებთ იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, ბატონის გარეშე ბატონ ივანიშვილს არ მოიხსენიებთ ხოლმე, - ბატონ ბიძინას დადანაშაულება ამ ყველაფერში დიდი უსამართლობა არისო. აბა ვინ იყო, მე ვიყავი, რომ ბატონ ჩხარტიშვილს, მაგალითად და ბატონ ხაზარაძეს იბარებდა და საქმეს ურჩევდა მათ ბიზნესთან დაკავშირებით ან ბატონ ოქუაშვილს



როდესაც იბარებდა და საქმეს ურჩევდა და შემდგომ ამაზე ღიად ლაპარაკობდა ეს ადამიანი. ეს ხომ არ არის ჩემი მოგონილი ამბავი. გამოდის ბიძინა ივანიშვილი და ღიად ამბობს, რომ მაგალითად ხაზარაძეს და ჩხარტიშვლს, როდესაც საქმე გავურჩიე ჩხარტიშვილმა 100-ით 0 მოუგო ხაზარაძესო. ეს სიტყვები ხომ ჩემი მოგონილი არ არის. ამაში ვერ ხედავთ თქვენ ქურდული გარჩევების ნიშნებს, ბატონო ლევან? რატომ აღშფოთდით, როდესაც მე გითხარით, რომ დიახაც, დღეს ...

**თავმჯდომარე.** გააგრძელეთ დრო.

**თ.ჩხარტიშვილი.** ასე, რომ თქვენი შეშფოთება მე მესმის იმიტომ, რომ თქვენი უპირველესი დავალება მინისტრების, დეპუტატების, რომლებიც რჩებიან უმრავლესობაში არის მორჩილება ივანიშვილისადმი და მათ შორის მისი მუდმივი დაცვა და ქება და შემდგომ პოლიტსაბჭოს სხდომებზე, როგორც ჩანს, კიცხავს იმ დეპუტატებს თუ მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც მას სათანადოდ არ იცავენ. ასე, რომ მესმის თქვენი ადამიანურად. თუმცა, პოლიტიკურად, მინდა გითხრათ, რომ ეს დიდი...

**თავმჯდომარე.** გმადლობთ, ქალბატონო თინა. დაასრულეთ? ფრაქცია „ევროპული საქართველო“ ბატონი ოთარ კახიძე ადგილიდან, კი, ბატონო.

